სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

პარასკევი, 7 ივნისი 1918 წ. 156

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი დადის: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოსაწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოუგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 116 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 116

თფილისის გუბერნიის კომისარი და კომისარიატთან არსებული საგანგებო მფრინავი რაზმის ოფიცრები და მხედრები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობთ, რომ 1 ივნისს ს. ყაზბეგში ბალშევიკებთან ბრძოლის დროს გმირულად დაეცა

ამხ. თეოდორე სოხაძე.

პანაშვიდი და გამოსვენება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან 7 ივნისს დილის 10 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

ღრმათ დამწუხრებულნი პელაგია ნოდარიძისა, ანნა ხატიაშვილისა, ქეთევან ჟღენტისა, იოსებ ხატიაშვილი, ნიკიფორე ჟღენტი, ნიკო ატაშვილი და ილო ჩუტვერაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცესავთ და ნაცნობთ პირველი დედისას, მეორე და მესამენი სიდედრის, მეოთხე დედისა და მეხუთე მამიდის

გარგარე (თინათინა) პიკნაძისა

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს ეკლესიაზე შაბათს 8 ივნისს, დილის 9 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, იოსებ ხატიაშვილის ბინა მალაკანის ქუჩა № 54

ჩვენი კონსტიტუცია

საქართველოს რესპუბლიკა სახელმწიფოებრივ საზღვრების შექმნასთან ერთათ უნდა შეუდგეს ძირითათ კანონების შემუშავებასაც. ეროვნულ საბჭოს დადგენილებით ჩვენს ტერიტორიაზე დროებით რუსეთის და ამიერკავკასიის ყოფილ რესპუბლიკის კანონებია ძალაში დატოვებული. ასეთი მდგომარეობა კი დიდხანს ვერ გაგრძელდება. საქართველომ უნდა შექმნას საკუთარი კანონები—კონსტიტუცია.

ასეთს მუშაობას ახლავე უნდა შეუდგეს ის საკონსტიტუციო კომისია, რომელიც უკვე არჩეულია ეროვნულ საბჭოს მიერ.

არაფერი არ არის ისე ადვილი, როგორც კონსტიტუციის პროექტის შედგენა. მრავალი ფეცნიერული შრომა არსებობს ამ საგნის შესახებ, ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ გამოცდილებით, ევროპის და ამერიკის მაგალითებით და ყოველის მხრით უნაკლულო კანონ-პროექტი შევადგინოთ. ეროვნული საბჭოც და მომავალი დამფუძნებელი კრება, თუ ეს გარეშე მტერმა არ დაიმორჩილა, უეჭველია დაადასტურებს ასეთს პროექტს და ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია სანიმუშო და მისაბაძი გახდება ყველა ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოსათვის.

მაგრამ ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ დაწერილი კონსტიტუცია. დაწერილ კონსტიტუციას კი თავის-თავათ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ინგლისს სულ არ მოეპოვება დაწერილი კონსტიტუცია იმ სახით, როგორც ეს სხვა კულტურულ სახელმწიფოებშია, მაგრამ ინგლისის დემოკრატიული წყობილება ბურჟუაზიული, რასაკვირველია) ცნობილია მთელი დედამიწის ზურგზე.

ლასალის კლასიკურ განმარტებით, კონსტიტუცია—რეალურ ძალთა განწყობილებაა, ფაქტიურ ურთიერთობის, არსებულ დამოკიდებულების გამოხატულებაა. ასეთ ძალის გარეშე კონსტიტუცია ცარიელი სიტყვებია, დაწერილი ქაღალდის ნაფლეთია.

ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საჭიროა ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომელიც ხალხის უმრავლესობის თანაგრძნობას მოიპოვებს და მთელს ხალხს დაემყარება. ისეთი საკითხი, რომლის გადაჭრა დღეს ხალხის დიდ უმრავლესობას აინტერესებს, არის მიწის საკითხი. ამ საკითხის მოგვარება მხოლოდ დაწყებულია, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. დემოკრატია კარგათ უნდა დაუფიქრდეს ამ საკითხს და უკიდურეს მოთხოვნებით მეურნეობა არ აწეწოს და ნორმალური ცხოვრება არ შეიჩეროს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მუშათა საკითხის სწორ გადაჭრასაც. უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშათა ზოგიერთ წრეებში დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი. ჩვენი იდეალი, რომ ნაათის საბუთაო დღე განვახორციელეთ, მაგრამ საუბედუროთ, მოიპოვებიან ისეთი მუშები, რომელნიც ექვს საათსაც არ მუშაობენ ფაქტიურათ. ეს გამოიწვევს წარმოების დაცემას, უმუშევრობის გაძლიერებას და ცხოვრების ნორმალურ მსვლელობას დიდათ ავნებს.

ასეთია შინაური საფრთხე.

არის მეორე საფრთხეც, დიდი სიდინჯე და წინდახედულობაა საჭირო, რომ გარეშე მტერმა ჩვენს მოქმედებაში საბაბი არ იპოვოს ჩვენი რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ჩასარევათ. დღეანდელ ჩვენს გაზეთში მკითხველი იპოვის სოხუმის წითელ გვარდიის დეპეშას, რომელიც გვამცნობს, რომ გერმანელ საყარაულოს უფროსს მოუთხოვია მარსელიოზის აკრძალვა. თფილისის წითელ გვარდიის შტაბი მეტათ გონივრულ რჩევას აძლევს ჩვენებს სოხუმში, ის ურჩევს სიდინჯე არ დაკარგონ და ღირსეული პასუხი გასცენ გერმანელ ოფიცრის უტაქტო მოქმედებას. ჩვენ ვფიქრობთ, [illegible] გერმანიის [illegible] გუგებრობას კვლავ ადგილი არ ექნება. მაგრამ ჩვენ არა ერთხელ მოგვიხდება უთანხმოება ოსმალეთის უკულტურო წარმომადგენლებთან, რომელნიც არ მოერიდებიან მდგომარეობის ხელოვნურათ გამწვავებას.

ეჭვი არ არის, მტერი არა თუ ხელოვნურათ არ შეეცდება უთანხმოების ჩამოგდებას, პირიქით მოერიდება კიდეც, ასეთს უთანხმოებას თუ ჩვენ ძალა გვექნება. უნდა ვისარგებლოთ ჩემოგდებული ზავით და საჩქაროთ შევქმნათ საჭირო საბუდრო ძალა, რომელიც ალაგმავს შინაურ ანარქიას და ამით მტერს საშუალებას მოუსპობს ჩვენს შინაურ საქმეში ჩაერიოს. შეიარაღებული ძალა საჭიროა აგრეთვე გარეშე მტრის დასახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთში და ახალციხეში მცხოვრებ ქართველებზე. ჩვენთვის არ არის ხელსაყრელი მათი აქეთ გადმოსახლება, ჯერ ერთი მიწის სიმცირეა ხელს გვიშლის, ხოლო ამავე დროს არ არის დასაშვები გამოვეთხოვოთ სრულიად მესხეთს და ჯავახეთს. ვინ იცის რას გვიმზადებს მომავალი, რას გვეტყვის ხვალინდელი დღე და იქნებ შემდეგი განვითარება და მდგომარეობის შეცვლა უზრუნველყოფს ყველა ამ ხალხის ყოფა-ცხოვრებას.

ამისთვის საჭიროა საქართველოს რესპუბლიკამ ეხლავე დანიშნოს თავისი წარმომადგენელი ახალციხე-ჯავახეთში, რომელიც შეეცდება ყველა ქართულ სოფლების ოსმალეთის მთავრობის შემწეობით დაცვას. ფორმალურათ ჩვენგან მოწყვეტილი ახალციხე და ჯავახეთი არ უნდა მოგვწყდეს სულიერათ, ჩვენი კულტურა შემაერთებელი უნდა იქნეს მათი და მთელი რესპუბლიკის ზრახვათა. არ უნდა გავიმეოროთ ისტორიული შეცდომები, არ უნდა დავივიწყოთ მესხეთი და ჯავახეთი, არ უნდა შეუწყოთ ხელი უკანასკნელ ქართულ სოფლების გადაგვარებას და მათი მეზობელ სოფლების მზგავსად ნანგრევებათ ქცევას. ქართველი ხალხი ეხლა შედარებით კულტურულია, მისი შინაური წყობილება მას საშვალებას აძლევს მოანდომოს მთელი ძალები განვითარებას და ეკონომიურ აღორძინებას და ამისთვის ჩვენი ვალია ეხლავე გავამაგროთ ჯავახეთსა და მესხეთს შორის გადებული ხიდი, ჯერ ის მაგარია და არ უნდა დავანებოთ ოსმალეთს მისი ჩატეხვა: გავხსნათ ქართულ სოფლებში შკოლები, არ დავივიწყოთ გალიაში მომწყვდეული ძმები, მივაწოდოთ ყველაფერი ის, რაც საჭიროა ჩვენი სულიერი და კულტურული ერთობისათვის. აი რით შეგვიძლია ვიხსნათ ჩვენი სილაჩრის და უღონობის გამო დამარცხებული გმირები.

დღეს კი დაყოვნება არ უნდა. ეხლა მესხეთ-ჯავახეთში მწარე ქვითინია, უიმედო ხალხი ეხეზნება მთებში და კლდეებში, აგდებს თავის კარ მიდამოს, დამუშავებულ ყანებს, ეთხოვება სუკუნოებით შესზრდილ მის მშვენიერ და თაიგულის მზგავს მთებს და თვითაც არ იცის საით მიდის, არ არის დარწმუნებული თუ ვინმე გაუწვდის მაშველ ხელს და დედას შეაშრობს ცრემლებს, ხოლო უპატრონოთ დარჩენილ უსუსურ ბავშვებს ელოდებიან მიღებს. ჩვენ უნდა მივიდეთ ამ ხალხთან, გავარღვიოთ მათ გარშემო დანთებული ცეცხლი და იმედები მივსცეთ, თბილი სიტყვა უთხრათ, დავეხმაროთ.

თორემ ძველ ნანგრევებს ახალი პარტახები მიემატება და გუშინ მებრძოლი, საამაყო ძმები, მათხოვრების ფარაჯებში დღეს მგლოვიარე საქართველოს სხვა სოფლებს მოადგებიან.

ლ. რ.

გადა გაღვიძებული ოსმალეთი

ოსმალეთს გულის წადილი უსრულდება: ამიერ-კავკასიას ეპატრონება, მისი სიმდიდრე ხელში უვარდება. და ამას ის აღწევს ადვილად, ერთი შეტევით.

ომის დაწყებიდანვე შეუდგნენ ოსმალეთში კავკასიის დაპყრობის პოლიტიკის წარმოებას: აგზავნიდნენ კავკასიაში აგენტებს საგიტაციოდ და მონათესაკი ხალხების თავისკენ გადმოსაბირებლად. თვით ოსმალეთში ამ დროს ითხოვდა სახალხო ლექსები, სადა ამბობდნენ, რომ „მშვენიერი კავკასია წინად ჩვენი იყო და ახლაც ჩვენ უნდა დაგვიბრუნდესო.

თუ ოსმალეთის მთავრობა კავკასიას შესტრფოდა და მის დაპყრობას ლამობდა, ამ დროს ოსმალეთის მოკავშირე გერმანია საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებდა—მას სურდა კავკასია, თუ კი იგი რუსეთს მოსწყდებოდა, კავკასიელებს დარჩენოდათ მისი მფარველობის ქვეშ და არა თურქებს. გერმანია ამის მისაღწევათ ზომებსაც ღებულობდა: ხელს უწყობდა კავკასიის ერების ორგანიზაციების არსებობას, რომელნიც ამ მიზნის მისაღწევათ მუშაობდენ.

ასეთი ორგანიზაცია ქართველთა ეროვნა პატარა ჯგუფმაც შეჰქმნა ევროპაში და მას ხელს უწყობდა გერმანია: იგი ოსმალეთის ტერიტორიაზედაც მოქმედებდა, მიუხედავათ იმისა, რომ ოსმალეთის მთავრობას დიდათ არ ესიამოვნებოდა.

კავკასიის საკითხში რომ წინააღმდეგობა იყო ოსმალეთსა და მის მოკავშირეთა შორის, ეს ცხადი იყო წინად და მით უფრო ცხადია დღეს, როდესაც ვიცით, რომ კავკასიის და ოსმალეთის სამშვიდობო მოლაპარაკების დროს ტრაპეზონში არ იყვენ მიწვეულნი გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და ბულგარეთის წარმომადგენლები. ოსმალეთის მთავრობამ იცოდა, რომ მის პოლიტიკას კავკასიის შესახებ ისინი წინააღუდგებოდნენ და შესაძლებელი იყო, რომ ხელსაც შეუშლიდნენ.

რატომ საკალდებულო არ იყო ოსმალეთის მთავრობისათვის კავკასიასთან მოლაპარაკების დროს მოკავშირეთა წარმომადგენლების მოწვევა, ჩემთვის ნათელი არ არის. საფიქრებელია, რომ მათ შორის რაღაც განსაკუთრებული პირობა არსებობდა, და ისინი ვერ აიძულებდნენ ოსმალეთს, რომ მათ დაუსწრებლათ არ გაემართა მოლაპარაკება. ამას თუ დავუმატებთ იმ შეთხვევასაც, რომ ბაკუში ჩამოსული გერმანიის წარმომადგენლები ძალიერ ულნი გახდნენ უარი ეთქვათ მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე, მაშინ დავინახავთ, რომ მართლაც საკმაოდ დიდი უთანხმოება უნდა იყოს მათ შორის ამ საკითხის გამო.

ყველასათვის ცხადია, რა უნდოდა ოსმალეთს, როცა კავკასიისაკენ მიისწრაფოდა—მას სურდა ხელში ჩაეგდო ერთი მშვენიერი, მეტად მდიდარი კუთხე, სავსე მრავალგვარი მადნეულობით. თითქმის ასეთივე ინტერესები ჰქონდა გერმანიას, რომელმაც კარგათ იცოდა კავკასიის ფასი და რომელსაც მეტად ესაჭიროებოდა იქაური მადნეულობა.

ერთ დროს ოსმალეთი მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო და არა თუ კავკასიის დაპყრობაზე ვეღარ ფიქრობდა, თავის არსებობის შენახვაშიაც კი ეეჭვი ეპარებოდა. ამ დროს მტერი შიგნით შეეჭრა თითქმის ყოველ მხრივ და სრული განადგურება თვალწინ ედგა. მოკავშირეები მას ვერ შველოდნენ, იმედს ვერ აძლევდნენ. ზოგიერთები თავბედსაც იწყევლიდენ და ნანობდენ, რომ ომში ჩაერევნენ და სხვათა დაპყრობის მაგიერ ოსმალეთს კარგავდენ.

მას ეხსნელად ისევ რუსეთის ამბები მოევლინა. მოიშალა რუსეთის ფრონტი და ამით მას საშვალება მეეცა უკან დაებრუნებია არა თუ ამ ომის დროს დაკარგული ადგილები, არამედ უფრო შორსაც წასულიყო: ადვილათ მიეღო ბათუმი, არტაანი და ყარსი. საფიქრებელი იყო, რომ ამით ოსმალები არ დაკმაყოფილდებოდა, რადგან ვიცოდით მისი სურვილები. ამას ისინი არც მალავდენ. ისინი ამბობდენ: ამდენი ადგილები დავკარგეთ, ასეთი ზარალი ვნახეთ და თუ გარემოება ხელს შეგვიწყობს, კავკასიით მაინც შევივსებთ დანაკარგსო. ალბათ ამის გამო მოკავშირენიც ბევრს ვერაფერს ეუბნებოდნენ ოსმალეთს.

რუსეთის დანგრევით ჩვენ ცუდს მდგომარეობაში ჩავვარდით. მასთან ყოფნით, მართალია, ჩვენ განსაცდელს აშორებულნი არ ვიყავით, მრავალნაირ ჩაგვრასა და გადაგვარებადამახინჯებას განვიცდიდით, მაგრამ მასზე უარესს მაინც ისევ იგი სჯობდა.

რადგან უმფარველოდ ჩვენს პატარა ქვეყანას არსებობა უჭირდა, ისევ უნდა ახალი მფარველი მოგვეძებნა. როგორი იქნება ეს ახალი მფარველი, ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერს ვიტყვით. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ეგ არ უნდოდა ოსმალეთს, ამას უფრთხოდა და ყოველნაირ ზომებსაც ღებულობდა, რომ ეგ არ მომხდარიყო. იგი დაჩქარებით შეეცადა შეუძლებელი გაეხადა ჩვენი გერმანიასთან დაახლოვება და დღესდღეობით რამდენიმეთ ძაიც ახერხებს ამას.

ოსმალეთი მეტად გაბედულად მოქმედებდა და ანგარიშს არ უწევდა გერმანიის წარმომადგენელთა განცხადებას—შეეჩერებია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედება. პირიქით, იგი ულტიმატუმს ულტიმატუმზე უყენებდა ჩვენს მთავრობას—საჩქაროდ ხელი მოგვეწერა ჩვენთვის მეტად ცუდ საზავო პირობებზე.

ჩვენი მდგომარეობა მეტათ სერიოზულია. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბერლინს. გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ეშაობას, რომელსაც მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე ხელს უწყობდა გერმანია, და იმასაც, რომ გერმანიას მეტად დიდი ინტერესები აქვს როგორც კავკასიაში, ისე ჩვენს პაწია ქვეყანაშიაც, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ბერლინი ასე ადვილათ არ დასთმობს ჩვენს ქვეყანას გასანადგურებლათ.

ს. ვა—

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა საგენტო).

6 ივნისი.

ბერლინი. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. ფლანდრიაში შეტევის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები. თელ ფრონტზე სწარმოებს დაზვერვა. საარტილერიო სროლა მხოლოდ ორგამოშვებით ძლიერდება. ესნეს სამხრეთ ნაპირზე ჩვენ უკუვაქციეთ მტერი ამბლენი—კუტრის მიმართულებით და ხელთ ვიგდეთ დომუერის ჩრდილოეთით მდებარე პოზიციები. ბრძოლა სწარმოებდა ურსის ორივე ნაპირას. საერთოთ მდგომარეობა არ შეცვლილა. ლეიტენანტ ლევენგარდტმა მე-26 ჯერ გაიმარჯვა ჰაერში ბრძოლის დროს.

ვენა. საარტილერიო მოქმედების გარდა არავითარ საომარ ოპერაციებს არ ჰქონია ადგილი დღე და ღამის განმავლობაში.

კონსტანტინეპოლი. სამხედრო მოხსენება. პალესტინის ფრონტი. ფრონტის სხვადასხვა ნაწილებში ხდება პატრულების შეტაკება ჩვენდა სასარგებლოთ. დანარჩენ ფრონტებზე არაფერია ახალი.

პარიზი. სამხედრო მოხსენება. მთელი დღე და ღამის განმავლობაში გერმანელები გაორკეცებული ენერგიით შეეცადენ ფრონტის სხვადასხვა ნაწილებზე გამარჯვების მიღწევას. ისინი ყოველგან მოვიგერიეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. გერმანელების ცდა, გადმოსულიყვენ უაზეზე გონტ-ა-ლაგამის ახლოს—უშედეგოთ დასრულდა. ენნეს ჩრდილოეთით ფრანგებმა კონტრ-ოერიშებით კვლავ დაიბრუნეს ის ადგილები, რომლებიც გერმანელებმა დაიჭირეს. ვინგრეს ახლოს ფრანგებმა წამოიყვანეს 150 ტყვე და ხელთ იგდეს ტყვიისმფრქვეველები. ლონგპოტის რაიონში გერმანელებმა დასტოვეს 50 ტყვე. ფრონტის დანარჩენ ნაწილებში ფრანგებს უპირავთ თავის პოზიციები.

საფრანგეთის აეროპლანებმა დიდი ენერგია გამოიჩინეს ბრძოლის ველზე. 4 ივნისს საგურას მიდამოებში ჩამოყარეს 17 ტონი ასაფეთქებელი მასალები, რითაც სავსებით გაფანტეს მოწინააღმდეგეს ჯარი. 5 ივნისს ღამით ჩამოყარეს 14 ტონი ასაფეთქებელი მასალები ფასემის, ფერან-ტარდერუას, რუანის და როხენის სადგურებზე. ჩვენ ჩამოვაგდეთ გერმანელების 4 აეროპლანი. ამას გარდა გერმანიის ერთი დიდი აპარატი იძულებული შეიქნა დაშვებულიყო დაბლა. მაში მსხდომი 8 კაცი ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ.

სამედიატორო სასამართლოს შესახებ ინგლის ამერიკის შორის დადებულ ხელშეკრულების ვადა გრძელდება 5 წლით.

ეინესა და მარნას შუა ბრძოლის დროს გერმანელებმა ხელთ იგდეს 300-მდე ოთხკუთხი კილომეტრი მოსავლიანი ბაღებითა და ვენახებით დაფარული ადგილი. 200-ზე მეტი დაბები, რომელთა შორის 15 ქალაქია, 1000-ზე მეტი მცხოვრებლებით. მცხოვრებნი თავის ადგილზე დარჩენ, 75 ათას კაცის გარდა, რომლებიც გაიქცენ მარნას იქეთ.

ბერლინი. 5 ივნისი. გერმანული ოფიციალური ცნობა. კრონ-პრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში მარჯვე იერიშების შემდეგ ჩვენ დიდი ძალი ძვირფასი დავლა ჩავიგდეთ ხელში და ბევრი ტყვეები წამოვიყვანეთ. მთელ ფრონტზე მზვერავები ენერგიულად მოქმედებდენ. საარტილერიო ცეცხლი მთელი დღე გრძელდებოდა, ხოლო ხანდახან ძლიერდებოდა. გერმანიის კრონპრინცის ლაშქრის ფრონტზე ჩვენ ვამაგრებდით ახლად დაპყრობილ ადგილებს. მდ. ენის სამხრეთ ნაპირზე უკუ ვაქციეთ მტერი ამბლენი-კუტრის ხაზამდე და პოზიციები წავართვით დომინეს ჩრდილოეთით. მდ. ორკის ორივე ნაპირზე ადგილობრივ ხასიათის ბრძოლა სწარმოებდა. საერთოდ მდგომარეობა უცვლელია. ლეიტენანტ ლოვენჰორტმა მე-26-ედ გაიმარჯვა ჰაერში.

ვენა. 5 ივნისი. ავსტრო უნგრეთის ცნობა. საარტილერიო ბრძოლის გარდა მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

სტამბული. 5 ივნისი. ოსმალეთის ცნობა. პალესტინის ფრონტი. სხვადასხვა ადგილას ჩვენი სადარაჯო რაზმები მარჯვედ მოქმედებდენ. სხვა ფრონტებზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

დეპეშები

თელავი. შემოვიარეთ სიღნაღის მაზრა. ხალხი იმდენათ დაინტერესებულია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით, რომ მუშაობის დღეებშიაც კი იკრიბებიან, რომ მოისმინონ მოხსენება. ჩვენს მოსვლამდე აქ არც ერთს პარტიას არ აუხსნია ხალხისთვის დამოუკიდებლობის აქტი. მცხოვრებლებმა უურადღებით მოისმინეს ჩვენი მოხსენება. არავის არც საყვედური, არც პროტესტი არ განუცხადებია დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. ხალხი დარწმუნდა, რომ ამ საკითხში გადადგმული ნაბიჯი ნაკარნახევი იყო შექმნილი მდგომარეობით. მიტინგებზე გამოჰქონდათ რეზოლუციები, სადაც აღუთქვამენ მთავრობას მხარის დაჭერას სიტყვით კი არა, არამედ—საქმით. ყველა მიტინგებზე ირჩევენ კომისიებს მებრძოლი რაზმების შესადგენათ. ქეზიყმა ამ მხრით დიდი შეგნება გამოიჩინა. სოფ. ჯუღანში მიტინგმა გამოჰყო მებრძოლი რაზმი, რომელმაც განაცხადა მთავრობის განკარგულებაში ვიქნებითო. ზოგიერთ ადგილებში სომხები დიდის თანაგრძნობით შეხვდენ დამოუკიდებლობას. სომხის დემოკრატიამ აღუთქვამს ქართველ დემოკრატიას დახმარებას. თელავის-საბჭოს სხდომაზე ჩვენ ვილაპარაკეთ, გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლუცია. სხდომას მრავალრიცხოვანი საზოგადოება დაესწრო. თელავის და თიონეთის შემოვლის შესახებ გაცნობებთ.

ანდრონიკაშვილი, ჩიხლაძე.

სოხუმი. წითელი გვარდიის მთავარ შტაბს თფილისში. დღეს გერმანიის სადარაჯოს უფროსმა პროტესტი განაცხადა საზოგადო გასართობ ადგილებში რევოლიუც. ჰიმნის, მარსელიოზის შესრულების შესახებ. წითელი გვარდიის შტაბს ამის შესახებ თათბირი ჰქონდა და დაადგინა: გერმანიის სადარაჯოს უფროსის პროტესტი ეცნობოს მთავრობას, მას კი განეცხადოს, რომ მარსელიოზა რევოლიუციონური სიმღერაა, რომელიც არ არის აღკრძალული საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ამატომ შტაბს არ შეუძლია ის აკრძალოს, არამედ ეს იქნებოდა დანაშაული დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე. ეს დადგენილება ეცნობა მთავრობას.

წითელ გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ნოვიკოვი.

ამ დეპეშის პასუხად წითელი გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარემ ვ. ჯუდელმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სოხუმში მყოფი წითელი გვარდიის შტაბს. „მთავარი შტაბი იწონებს თქვენ მიერ მიცემულ პასუხს გერმანიის სადარაჯოს უფროსისადმი და გირჩევს თქვენ შემდეგში დაიკავოთ რა ზრდილობიანი მოპყრობა გერმანიის დარაჯთადმი, ნება არ მისცეთ დარაჯებს ჩაერიონ ჩვენს შინაურ საქმეებში“.

ლანჩხუთი. ლტოლვილთა დამხმარე ოზურგეთის სამაზრო კომიტეტი იტყობინება, რომ გადმოხვეწილი ხალხი უკვე ბრუნდება ოზურგეთში. აუცილებლათ საჭიროა დაუყონებლივ მოახდინონ განკარგულება, რათა გამოგვიგზავნონ რამოდენიმე ვაგონი სურსათი, წინააღმდეგ შემთხვევაში მცხოვრებთ შიმშილით სიკვდილი მოელის. დღეიდან კომიტეტი გადადის ოზურგეთში და სურსათიც აქეთ უნდა იქნეს გამოგზავნილი.

ვინაიდან ოზურგეთიდან გადმოხვეწილ ლტოლვილთ, რომელნიც უკვე ბრუნდებიან მტრის მიერ განთავისუფლებულ ადგილებში, არავითარი სახსარი არ აქვთ, საჭიროა გზათა სამინისტრომ მოახდინოს განკარგულება ბარგის და ლტოლვილთა ნატანებამდი უფასოთ გადაზიდვის შესახებ. კომიტეტის თავმჯდომარე **კოპლატაძე.**

მთავროგის სხდომა

5 ივნისის სხდომაზე მოწონებულ იქნა კანონ-პროექტი დემობილიზაციის შესახებ, რომლის ძალითაც დათხოვნილ იქნებიან ყველა ჯარის-კაცები გარდა 1895—98 წლებში გაწვეულებისა. ამ ვადის ჯარის-კაცები გაწვეულ უნდა იქნენ ქართულ ჯარში.

ბათუმის სარემონტო ქარხნის მუშების დასაკმაყოფილებლათ ფინანსთა მინისტრს დაევალა ფოთში 400,000 მან. გაიგზავნის და კანონპროექტი ამის შესახებ ეროვნულ საბჭოში შეიტანოს.

საქართველოს რესპუბლიკის საქმეთა მმართველად დამტკიცებულ იქნა ნაფ. ვექილი ს. დ. ჯაფარიძე, მის თანაშემწედ—მ. მ. მღვდლიშვილი.

შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებს 2 თვის ჯამ ვირი მიეცემათ.

ფინანსთა მინისტრს დაევალა სესხად 1 მილიონი მანეთი მისცეს სასურსათო მინისტრს ჩრდილო-კავკასიაში პურის შესაძენათ, ხოლო ამის შესახებ კანონ პროექტი ეროვნულ საბჭოში შეიტანოს.

ერზერუმის რკინიგზის მუშების დასაკმაყოფილებლად დაიგიდო 2 მილიონი მანეთი.

ახალი ამბები

ყაზბეგიდან შტ. კაპ. სპირ. ფიცხელაური შემოვიდა ოსმალეთიდან. 1 ივნისს შეტევების დროს ბალშევიკები სასტიკათ დამარცხდენ და გაიქცენ. ეხლა იგინი დარიალიდან ორი ვერსის მოშორებით დგანან. კავკავიდან გამოგზავნეს პარლამენტიორები და მოლაპარაკების გამართვა უნდათ. შეტაკების დროს ყაზბეგის და ახლო სოფლის მცხოვრებლებმა ენერგიული მონაწილეობა მიიღეს, ხოლო ზოგიერთი სოფლის მცხოვრებნი, როგორც მაგალითად არგეთი, გორისციხე და სხვები, ბალშევიკების წინააღმდეგ არ გამოვიდენ, რადგან თანაუგრძნობენ მათ. დარიალთან ბრძოლის დროს ბალშევიკებს მოუკლეს სამასამდე კაცი და ტყვეთ წამოიყვანეს 25. ლტოლვილებს უ ვეებენ, ხოლო კავკავიდან არავის არ უშვებენ. იმედია მოლაპარაკება ჩქარა გათავდება და წესიერება აღდგენილი იქნება. როგორც სჩანს, ბალშევიკებს არავითარი რეალური ძალა არა აქვთ და მხოლოდ ეგრეთ წოდებულ „ბოსიაკებისაგან“ შედგენილ „ჯარი“ მოდიან. ინგუშები ბალშევიკების წინააღმდეგ არიან ამხედრებული.

საქართველოში ხალხთა განათლების საქმის მოსაგვარებლათ გამართულმა თათბირმა დაადგინა: შესდგეს განათლების სამინისტროსთან საბჭო სამი პირისაგან. ერთ მათგანს დაეკალება უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელობა, მეორეს—მაღალ და დაბალ პირველ-დაწყებით სასწავლებლის, მესამე პირი ხელმძღვანელებს ტეხნიკურ და პროფესიონალურ სასწავლებლებს. საბჭოში შევლენ აგრეთვე ორ-ორი პროფესორი უმაღლეს სასწავლებლების თვითეულ ფაკულტეტიდან. განზრახულია საქმის წარმოება სამინისტროში მოეწყოს ქართულ ენაზე.

საადგილ-მამულო რეფორმის გამო. ვინაიდან ამ ჟამათ მემამულეების მიწები გადადის სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გასაძლიერებლათ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა გუბერნიის კომისარებს აუხსნან ხალხს, რომ საადგილ-მამულო რეფორმების დაჩქარებით ცხოვრებაში გასატარებლათ საჭიროა საადგილ-მამულო კომიტეტებისათვის მუშების დახმარება. სამინისტრო მუშავებს ასეთ შრომის ნიხრს.

ლტოლვილები. აშაგა სერალიდან სომეხთა ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ, რომ 4 ივნისს იქ ვიდა მატარებელი ლტოლვილებით. მატარებელს თავს დაესხენ ადგილობრივი მუსულმანები, ტყვეთ წაიყვანეს 8 მამაკაცი და ნასწავლე ქალი, რომლებიც მსახურობდენ ალალ-ოღლის თავშესაფარში.

ამიერკავკასიის რკინის გზათა ყოფილმა უფროსმა პოლკ. ოკუნევმა შემდეგი დეპეშა დაუგზავნა რკინის გზებზე: ადერბეიჯანის რესპუბლიკის გზათა მინისტრმა მიწერ-მოწერის თანახმად ადერბეიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში რკინის გზათა ინჟენერ პარკ სმირნას, ყოველგვარ საქმეებზე უნდა მიმართოთ მას განჯაში.

წითელ გვარდიის მთავარ შტაბის სხდომაზე 5 ივნისს მიღებულ შემდეგი რეზოლუცია: „ვინახილა რა საკითხი ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულობის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს ბათუმში 3 ივნისს, წითელი გვარდიის მთავარი შტაბი გამოსთქვამს უკიდურესი მწუხარებას იმის გამო, რომ მთავრობამ ხელი მოაწერა საქართველოს რესპუბლიკისათვის ამ მეტათ მძიმე ხელშეკრულობას ისე, რომ არ მიუმართავს შეიარაღებული ბრძოლის ყველა საშუალებებისათვის მტრის წინააღმდეგ. სცნობს რა, რომ ბათუმში სამშვიდობო ხელშეკრულობაზე ხელის მოწერის შემდეგ საკითხი შეიარაღებულ ძალის შექმნის შესახებ თავისუფლებისა და რევოლიუციის დასაცავათ ღებულ მწვავე ხასიათს, წითელ გვარდიის მთავარი შტაბი ადგენს: 1) მთელი ძალღონით გაგრძელდეს წითელ გვარდიის მოწყობა; 2) გაგრძელდეს მოხალისეთა რაზმების მოწყობა წითელ გვარდიასთან; 3) წინადადება მიეცეს მთავრობას მისცეს წითელ გვარდიის მთავარ შტაბს 5 მილიონი მანეთი; 4) ახლო მომავალში მოწვეულ იქნას წითელ გვარდიის ყველა ნაწილების ყრილობა შემდეგი მოქმედებისათვის საფუძვლის გამოსარკვევათ.

სურსათის მიმწვდენელ კომიტეტმა მიმოსვლის მინისტრს შემდეგი ტელეფონოგრამით მიმართა: „რადგანაც თფილისის და ნაოთლუღის სადგურები მეტისმეტად გაივსო და საჭიროა ეხლავე დაიცალოს ეს სადგურები სურსათის მიმწვდენელ კომიტეტის შუამდგომლობით ნთავრობამ განკარგულება გასცა ყველა იმ ბარგის ლიკვიდაცია მოახდინონ, რომელთაც პატრონები ვადაზე არ წაიღებენ.

სურსათის მიმწვდენელ კომიტეტის თავმჯდომარემ შეადგინა კომისია, რომელშიაც შედიან სამხედრო და გზათა წარმომადგენლები მიმოსვლის სამინისტროების.

სომეხთა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს მთავრობას სთხოვა სად. სანაინზე საჩქაროდ გაგზავნოს ჯავშნიანი მატარებელი ლტოლვილთათვის სურსათის და მედიკამენტების წასაღებათ, რადგანაც ლაესის ხეობაში მყოფ ლტოლვილთა მდგომარეობა თანდათან მძიმდება.

მოლაპარაკება ჩრდილო კავკასიასთან. ვ. არდიშვილი და ვ. თევზაია მთავრობამ რწმუნებულებათ დანიშნა თერგის ოლქის სახალხო საბჭოსთან მოლაპარაკების საწარმოებლად პოლიტიკურ, სტრატეგიულ და ეკონომიურ საკითხებზე. ამ მიზნით ეს პირნი კავკავში მიემგზავრებიან.

სოფ. კავთისხევში. (გორის მაზრა) კვირას 9 ივნისს დანიშნულია მიტინგი. მიტინგი გაიხსნება შუადღის 12 საათზე. ილაპარაკებენ მიმდინარე მომენტზე—ომზე და ზავზე ქარლო ჩხეიძე და ირ. წერეთელი.

მუშათა კლუბში. შაბათს, 8 ივნისს, ვიოლონჩელზე დამკვრელ კოპელნიცკის მეთაურობით შესდგება პირველი კონცერტი. შეასრულებენ ჩაიკოვსკის, რუბენშტეინის და შოპენის ნაწარმოებს.

ერობის გარშემო. თფილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ მაზრის საერობო ხმოსნების არჩევნები, რომელიც უნდა მომხდარიყო ამ დღეებში, გადადებულ იქნა ერთი თვით. არჩევნების დღე საგანგებოთ იქნება გამოცხადებული ადგილობრივ გაზეთებში.

მთავრობამ გრაფ შულენბურგს სთხოვა სოხუმში მდგარ გერმანელთა სადარაჯოს უფროსს განუმარტოს, რომ მარსელიოზა სარევოლიუციო სიმღერაა და საქართველოს რესპუბლიკაში იგი აღკრძალული არ არის.

ფოთის ქალაქის თავი კორძია მთავრობას აუწყებს 1 ივნისს ფოთში გერმანელთა ყოფნის შესახებ დაწვრილებით ცნობებს. დელეგაციამ ფონ-ლოსსოვის მეთაურობით ინახულა ქალაქის გამგეობა. მათ მიესალმა ქალაქის თავი, რის შემდეგაც მათ დაათვალიერეს ქალაქი, ხოლო 7 საათზე გაიმართა სადილი.

ლექცია. კვირას, 9 ივნისს, დილის 9 საათზე ნავთლუღის სადგურთან სასურსათო პუნქტის შენობაში მომუშავეთა ჯგუფის მიერ დანიშნულია საჯარო ლექცია მიმდინარე მომენტზე. ილაპარაკებს ამხ. ირ. წერეთელი. პარტიულ ამხანაგებისთვის დასწრება საკალდებულოა.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 6 საათზე შტაბის ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონის წითელ გვარდიელთა საზოგადო კრება. ამხანაგებს ვსთხოვთ უსათუოდ დაესწრნენ კრებას.

— დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება ქალთა მორიგი კრება მეოთხე რაიონის სოც. დემ. მუშათათა პარტიისა. გთხოვთ ნუ დაიგვიანებთ. (საუფლის წულო ქუჩა № 3).

პროვინციის ქრონიკა

ძ. სიღნაღი. საადგილ-მამულო გამგეობამ გააუქმა ყოფილი მეფის ნაცვლის განკარგულება სამალახო მინდვრის („კამბეჩის მინდორი“) სოფ. ზაკა და ჭვეშო მაჩხაანს შორის განაწილების შესახებ. საზაფხულო სამალახო სავლებით გადადის ქვეშო მაჩხაანის მცხოვრებლების ხელში, რომლებიც საგანგებოდ ამ სამალახოთი რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფ. მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საგჯოს აღმ. კომიტეტი

(5 ივნისის სხდომა).

თავმჯდომარეობს 5. ფორდანია.

განსარჩევია საკითხები: ლტოლვილთა საკითხი, მოხსენება ზავის შეკვრის შესახებ და სხვა.

ლტოლვილთა შესახებ მოხსენებას აკეთებს აზატიანი, რომელიც ამბობს: ამ უკანასკნელ ხანებში ლტოლვილთა საკითხი მეტის მეტათ გართულდა. აუარებელი ლტოლვილები მოდის თფილისისაკენ. ახალქალაქი და ახალციხიდან მოსალოდნელია 100,000 კაცი, ამ ჟამათ კი თფილისში საზოგადო ბინებში იმყოფება 32,000 ლტოლვილი და კერძო ბინებში კი 5000 კ. იქნება. ლტოლვილთა რიცხვის გაზრდა მით უფრო მოსალოდნელია, რომ დიდი ნაწილი სოხების ტერიტორიისა ოსმალეთმა დაიკავა და იმ ადგილებიდან უნდა მოველოდეთ ლტოლვილების ტალღას. აღნიშნავს აგრეთვე ლტოლვილთა რაოდენობას სხვადასხვა ადგილებში, მაგ. სანაინის რაიონში მცხეთა—ღუშეთის მომართულებით, ფოთში და სხ. კრებას საშინელ სურათს უხატავს ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ. შიმშილი, წყურვილი, სიცივე, მიწაზე წოლა, ი რა ცუდ პირობებში იმყოფებიან ლტოლვილნი. ეს არც ქალაქისათვის არის ხელსაყრელი, ვინაიდან შესაძლებელია ასეთ მდგომარეობაში ადამიანებ ავადმყოფობის გავრცელება და სხვა. რაც შეეხება დახმარებას ლტოლვილთა ორგანიზაციებისაგან, ისინი ოკლებულნი არიან, რადგანაც ხშირათ ფულებს—ამ ორგანიზაციებს თავის დროზე არ აძლევენ, უნდა დადგენ რიგში და ამით საქმე ვერხდება. მომხსენებელი მოითხოვს დაარსდეს ერთი ცენტრალური ორგანო ლტოლვილთა საკითხების მოსაგვარებლათ. მცირე კამათის შემდეგ ეს წინადადება მიღებულ იქნა. ამ ორგანოში შედიან წარმომადგენელნი: მუშათა ცენტრის, აღმასრულებელი კომიტეტის, სურსათის მომწოდებელი კომიტეტის და შემდეგი სამინისტროების წარმომადგენელნი: შინაგან საქმეთა, სამხედრო, გზათა-მიმოსვლის და სასურსათო მზრუნველობის, შედიან აგრეთვე ნაციონალური საბჭოების წარმომადგენლები. ამ ორგანოს ექნება განსაკუთრებული უფლებები ლტოლვილთა საკითხის მოწესრიგებაში და უნდა იმოქმედოს ლტოლვილთა ორგანიზაციების დახმარებით.

ოსმალეთთან ზავის შეკვრის შესახებ მოხსენებას აკეთებს **ი. წერეთელი**, ის ამბობს: ჩემი მოხსენება იქნება წმინდა ფაქტიური იმის შესახებ, თუ როგორ და რა პირობებში შეკრა ზავი საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ ოსმალთა საზავო დელეგაციასთან. ეს მოკლეთ გაზეთებში უკვე იყო, მე მოგახსენებთ დაწვრილებით. ხელშეკრულობის ძალით ოზურგეთის მხრით რჩება საქართველოს 1877 წლის საზღვარი. ახალქალაქის მაზრა სავსებით ოსმალეთის ხელში გადადის, ახალციხის მაზრისაგან ჩვენ გვრჩება მხოლოდ აწყურ-ბასუთუმანბჯარი. ოსმალეთმა უნდა დასტოვოს ოზურგეთის მაზრა და აწყური, ბასუთუმანი და ზეკარი, ჩვენ კი ახალქალაქი და ახალციხე. რაც შეეხება დანარჩენ საზღვრებს, ამაზე ტრაქტატში არაფერი არ არის შეტანილი. საქართველოს დანარჩენ საზღვრებს შესახებ ჩვენ მოგვიხდება მოლაპარაკება მეზობელ სახელმწიფოებთან არარატის რესპუბლიკასთან და ადერბეიჯანთან, ამ მოლაპარაკებაში ოსმალეთი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს და მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმების შემდეგ საქართველოს საზღვრები ბორჩალოს მაზრის მხრით და ადერბეიჯანის მიმართულებით შეტანილ იქნება საზავო ხელშეკრულებაში.

არსებითი მხარე, რომელიც ყველაფერზე უფრო საინტერესოა და მასთან სამწუხარო, ეს ოსმალეთისადმი რკინის გზით სარგებლობის უფლების მიცემაა.

ხელშეკრულების ძალით ოსმალეთს უფლება აქვს ჩვენს სტრატეგიული მნიშვნელობის რკინის გზებზე ჯარები გადაიყვანოს ომის გათავებამდე. ოსმალეთმა უნდა შეადგინოს ამის მომწესრიგებელი კომისია, რომელიც იმოქმედებს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. ხელშეკრულების ძალით ოსმალეთს უფლება აქვს იყიდოს ჩვენში იმდენი სურსათი, რამდენიც დასჭირდება ტრანსპორტს ჩვენს ტერიტორიაზე გატარების დროს. ამ სურსათის საყიდლად და მოსაწესრიგებლად ზოგიერთ მნიშვნელოვან პუნქტებში ოსმალეთს ეყოლება აფიცერი რამოდენიმე ჯარისკაცებით.

ჩვენმა დელეგაციამ ოსმალეთის დელეგაციას განუცხადა ხელის მოწერამდე, რომ გერმანიასთან გვაქვს რკინის გზის შესახებ ხელშეკრულება და თუ რაიმე კონფლიქტი მოხდა ამ სამ სახელმწიფოთა შორის, უნდა მოწესრიგებულ იქნას დიპლომატიური გზით. საზავო ხელშეკრულებაში არის აგრეთვე, რომ საზღვრებზე უნდა მოვახდინოთ ნაწილობრივი დემობილიზაცია ჯარების, ასე რომ საზღვრებზე უნდა ჰყავდეს ოსმალეთს ის ნორმა ჯარებისა, რომელიც მ ლებულია მშვიდობიანი დროისათვის. რადგანაც ჩვენი ჯარების ნორმა ჯერ არ არის გამომუშავებული, ჩვენ ჯერჯერობით უნდა გვყავდეს რამოდენიმე პოლკი ა ნორმის გამორკვევის შემდეგ კი იმდენი, რამდენიც იქნება ნ ჩვენები ნორმაში. რკინის გზების დაცვა ურთიერთმორის შეთანხმებით ერთელ ჯარებმა უნდა იკისრონ, თუ გა ჩნდა რომელიმე „ბანდა“ და ოსმალოებს ალი შეუშალა ჯარების გადაყვანაში, ჩვენ ალდებული ვართ ასეთი „ბანდები“ გავფანტოთ და წესრიგი აღვადგინოთ ჩვენს ტერიტორიაზე.

ამასთან ოსმალეთი აცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის სუვერენიტეტის ხელშეუხებლობას. აი ფაქტიური მხარე ჩემი მოხსენებისა ზავის შეკვრის შესახებ. ახლა დავსვამ შემდეგ კითხვებს: იყო თუ არა აუცილებელი ასეთი ზავის შეკვრა შექმნილი მდგომარეობის მიხედვით და შეიძლებოდა თუ არა უკეთესი ზავის მიღება და შეუძლია თუ არა ასეთ პირობებში ჩვენს რევოლიუციონურ ორგანიზაციებს მუშაობა. მომხსენებელს აძლევენ შეკითხვებს.

შეკითხვა: განხორციელდება თუ არა ეს ხელშეკრულება და გაიყვანს თუ არა ოსმალეთი თავის ჯარს ოზურგეთიდან?

პასუხი: ეს უკვე განხორციელებულია. ოზურგეთიდან ოსმალეთმა თავისი ჯარები უკვე გაიყვანა.

შეკითხვა: ჩვენს ჯარებს დავშლით ხელშეკრულების ძალით, მიღებულია თუ არა მხედველობაში, რომ, როცა ჩვენ ჯარები არ გვიყოლება და ოსმალეთის ჯარები კი ჩვენს ტერიტორიაზე იქნება, ფაქტიური ოკუპაცია არ მოხდება ჩვენი ტერიტორიის.

პასუხი: ჩვენს ტერიტორიაზე გაივლის მხოლოდ სატრანსპორტო ნაწილები ცალკე ეშელონებათ, მართალია, დღეს ოსმალეთი ჩვენზე გაცილებით უფრო ძლიერია და შეეძლო უამისოდაც ფაქტიური ოკუპაცია მოეხდინა, მაგრამ თუ ეს არ ჰქნა, ეს იმიტომ, რომ მას საქართველოს მთავრობის გარეშე არ შეუძლია რკინის გზებით სარგებლობა. ჩვენ აუცილებლად გვესაჭიროება რეალური ძალის შექმნა და თუ მაინც ოსმალეთმა დაარღვია ხელშეკრულება და არაფრად ჩაგვაგდო, ერთი ლა დაგვრჩენია: რკინის გზები გავაფუჭოთ და ხიდები ავაფეთქოთ.

ვ. ჯუღელი აღნიშნავს ამ ზავის უარყოფით მხარეებს და ამბობს, რომ ჩვენ უნდა დავეყრდნოთ რეალურ ძალაზე, თუ ჩვენ დავეყრდნობით მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულების მუხლებზე, მაშინ მთლად დაღუპავ მოგველის, ჩვენ უნდა ვეყრდნობოდეთ, როგორც შინაურ, ისე გარეშე ძალაზე, თუ ეს ასე არ მოხდა, დღეს ოსმალეთი მოითხოვს ჩვენი ჯარების დემობილიზაციას და უმნიშვნელო ფლოტის იარაღის აყრას და ზოგან შეიძლება მან მოგვთხოვოს საყოველთაო იარაღის აყრა. ორატორი მოუწოდებს კრებას ხელი შეუწყონ მოხალისეთა პოლკის შედგენას.

ასათიანი აღნიშნავს, რომ საჭიროა მოთხოვნა იმისი, რომ ოსმალეთმა განსაზღვრულ დროს ჯარის განსაზღვრული რიცხვი გაატაროს.

ი. ქარცივაძე. როცა ოსმალეთის ჯარები დაიკავებენ ჩვენს ტერიტორიაზე ზოგიერთ მნიშვნელოვან პუნქტებს, მაშინ ძნელი იქნება მათი წინააღმდეგობის გაწევა. თუ მათ დაიკავეს სურამის გვირაბის შესავალ-გასავალი მაშინ ჩვენ მის აფეთქებას ვერ მოვახერხებთ, რკინის გზის გაფუჭება კი, რომ არ მივიღოთ მხედველობაში ჩვენი კულტურის განადგურება, სტრატეგიულად არაფერს დიდს არ წარმოადგენს. თუ კი ხიდები და „ტონელები“ დაცული იქნა არ შეიძლება არც იმის მოთხოვნა, რომ განსაზღვრულ დროს განსაზღვრული ჯარების რიცხვი გაატაროს, რადგანაც ეს იქნებოდა ჩვენი სისუსტის საუკეთესო მაჩვენებელი. ორატორი მოითხოვს რეალური ძალის შექმნას.

წითელ გვარდიის წარმომადგენელი **შარაშიძე** წინააღმდეგია ზავის შეკვრის და ამბობს, რომ უკეთესი იქნებოდა დემოკრატიისათვის ოსმალეთისთვის წინააღმდეგობა გაგვეწია, თუმცა დავმარცხდებოდით მაგრამ ბრძოლაში დამარცხება სჯობდა უბრძოლველად მტრის ხელში ყველაფერის მიცემასო.

ა. დგებუაძე. აღნიშნავს მსჯელობის მეთოდებს. აქ მსჯელობენ სუბიექტიურად, ჩვენ კი მარქსისტებმა უნდა დიალექტიურად ვიმსჯელოთ და ყურადღება უნდა მივაქციოთ განსაკუთრებით რეალურ ძალთა განწყობილებებს ჩვენ და ოსმალეთ შორის. ის ზავის შეკვრას აღიარებს ერთად-ერთ გამოსავალ გზათ და საშვალებათ შექმნილი მდგომარეობიდან და ამ შემთხვევაში იწონებს მთავრობის ნაბიჯებს. მასთან ამბობს, რომ ჩვენ რომ თავიდანვე ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ნიადაგზე დავმდგარვიყავით, შეიძლებოდა ასეთი ცუდი ზავი არ მიგვეღო.

ი. წერეთელი. ჩვენ აქ მოვისმინეთ რამოდენიმე სიტყვა მთავრობის წარსულ მოქმედების შეცდომების შესახებ. იბადება კითხვა: შეეძლო თუ არა ამიერ-კავკასიის მთავრობას და რევოლიუციონურ ორგანიზაციებს ამ შეცდომების წინააღმდეგ მიეღოთ ზომები. მართალია, მთავრობის ზოგიერთ შეცდომებს მეც ვადასტურებ, მაგრამ მე ვაცხადებ, რომ ამ შეცდომებს არ შეუცვლია არსებითად საქმის მდგომარეობა და საქმე არ გაუფუჭებია. იყო უფრო ღრმა მიზეზები, რომლებმაც ჩვენ ასეთ მდგომარეობამდის მიგვიყვანა და რომლებიც ჩვენს გარეშე უნდა ვეძიოთ.

აქ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ჩვენ რომ ბრესტის ხელშეკრულება მიგველო, ეხლა უკეთესს პირობებში ვიქნებოდითო. ჩვენ ვიცოდით მაშინვე, რომ ოსმალეთი ბათუმ-ყარსარდაგანის გადაცემით არ დაკმაყოფილდებოდა და შუაგულ ამიერ-კავკასიაში შემოიჭრებოდა. ჩვენ როცა ბათუმის, ყარსის და არდაგანის დაცვაზე ვლაპარაკობდით, მაშინ მთელი ამიერ-კავკასიის დაცვა გვქონდა სახეში. აქ ამბობენ, რომ უკეთესი იქნებოდა, რომ ძალების გამოცდა არ მომხდარიყო, მაშინ ოსმალეთს ჩვენს ჯარებზე უფრო მეტი წარმოდგენა ექნებოდაო. მე კი ვამბობ, რომ ძალების გამოცდა მაინც უნდა მოხდარიყო. თუ ჩვენ ამას არ მოვესურვებდით, ძლიერი ოსმალეთი მაინც მოახდენდა. აი სწორედ ეს ყველაფერი გავითვალისწინეთ და შევუდექით ძალების შექმნას, რადგანაც რუსის ჯარის წასვლის შემდეგ ჩვენ რეალურ ძალას სავსებით მოკლებული ვიყავით. უბედურება იქნებოდა, რომ ჩვენ სულ რომ არ გაგვეწია წინააღმდეგობა და ისე მოეხდინა ოსმალეთს ჩვენი ტერიტორიის ოკუპაცია. ის აქამომდე მოახდენდა ამ ოკუპაციას, მაგრამ იცის, რომ ჩვენ წინააღმდეგობას გავუწევთ და ამიტომ არ დგამს ასეთ საბედისწერო ნაბიჯს. აი ამ მობილიზაციით, ძალების შექმნით ჩვენ ხმა-მაღლა დავილაპარაკეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია მტერს წინააღმდეგობა გავუწიოთ, თუ კი მან ჩვენი დამონება მოინდომა. როგორც ზევით ვსთქვი, შეცდომები იყო, მაგრამ საქმის არსებით მხარეს სრულებით არ სცვლიდენ, მაგ. უდროოთ დროებითი შერიგება.

ორ ძირითად ფაქტს ჰქონდა დიდი ნიშვნელობა. ერთი—ეს რუსის ჯარების კავკასიის საზღვრებიდან წასვლა იყო, მეორე კი—სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის უქონლობა, რომ ყველაფერი თავის დროზე მოგვეგვარებია. ამით ისარგებლა ოსმალეთმა და დაგვმარცხა. და თუ ჩვენ შემდეგში ვერ შევქმნით მტკიცე სახელმწიფოებრივი აპარატი, მაშინ ყველაფერი დაღუპულია. ამხ. ჯუღელი აღნიშნავს, რომ ზავი მთავრობამ იმ დროს შეკრა, როცა ხალხი გამოღვიძების გზას დაადგა და შეიძლებოდა მტრისთვის წინააღმდეგობა გაგვეწიაო. მეც მოვიარე რამოდენიმე ადგილები საქართველოსი და ეს გამოღვიძება დავინახე, მაგრამ ამ გამოღვიძებასთან ერთათ ხალხს აქვს რწმენა: **არ იომოს**. აქ ყველა ზავის შეკვრის მოწინააღმდეგენი აღნიშნავდენ, რომ ბრძოლა უნდა მიგველო, თუმცა დავმარცხდებოდითო. მეც მრწამს, რომ ჩვენ დავმარცხდებოდით და ვიქნებოდით ფაქტიური ოკუპაციის წინაშე. ფაქტიური ოკუპაცია კი მთელი მხარის განადგურებას უდრის. მაგალითი ოზურგეთია. იმ რაიონებში, რომელიც ოსმალებს ჰქონდათ დაკავებული, დღეს ერთი კაკალი სიმინდი არ მოიპოვება, ასეა სხვა სურსათის მხრივაც. ოსმალეთის ჯარი ფაქტიური ოკუპაციის დროს გაგვიანდგურებდა სურსათის მხრით და საუკეთესო მეომრებიც უნაყოფოთ დაიხოცებოდენ. მასთან უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთისთვის ხელსაყრელი არ არის საქართველოს ფაქტიური ოკუპაცია, თორემ ის ამას, ეჰვს გარეშეა, მოახდენდა. ერთად-ერთი კალაპოტი, სადაც უნდა მოექცეს მთელი მუშაობა, ეს რეალური ძალის შექმნაა. სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის აწყობა-განმტკიცებაა. აი აქეთკენ უნდა იყოს დღეს მთელი ჩვენი მოქმედება მიმართული, რომ შემდეგში შეეიცადოთ მდგომარეობის გაუმჯობესებას. კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ასეთი რეზოლიუცია: გაერთიანებულმა კრებამ მუშ. ცენტ. და აღმას. კომიტეტისამ მოისმინა რა მოხსენება ოსმალეთ და საქართველოს შორის ზავის შეკვრის შესახებ, დაადგინა: მთელი ჩვენი ძალა უნდა მიმართულ იქნას მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის და რეალურ ძალის ორგანიზაციის შექმნისაკენ, აგრეთვე დავიცვათ სუვერენიტეტი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის. **აკ ხ—უა.**

რუსეთში

(რუსი ამხანაგის წერილიდან).

ერთი რუსი ამხანაგისაგან, რომელიც მოსკოვიდან ჩამოვიდა ამას წინათ თფილისში, შემდეგი წერილი მივიღეთ, რომელიც საჭიროთ მიგვაჩნია ჩვენს მკითხველებს ვაუწყოთ:

„ამ წერილს იმიტომ ვწერ, რომ სრული სიმართლით მოვუთხრო მკითხველს, თუ რა ხდება ამ ჟამად რუსეთში, რა გზით შეიძლება მოსკოვიდან თფილისში მგზავრობა და რა გვარი სულიერი განწყობილებაა ხალხში იმ გზებზე, სადაც მე მომიხდა მოგზაურობა. ბევრი საოცარი ამბები მოვისმინე მე კავკასიის და თფილისის შესახებ როგორც მოსკოვში, ისე გზაში. აქ რომ მოვედი კი ასეთივე ამბები მოვისმინე არა თუ რუსეთის, არამედ მახლობელი ქალაქების ბაქოს და კავკავის შესახებ.

დავიწყებ მოსკოვიდან. როცა მე კავკასიის ფრონტიდან მოსკოვში მივედი იანვარში. მოსკოვი ბოლშევიკების ხელში იყო. შემდეგ მოსკოვში გადმოვიდა ლენინის მთავრობა. მთავრობის დაწესებულებათა მოსათავსებლათ მოხდა სახლების რეკვიზიცია. მდგმურთა ნივთებს ქუჩებში ჰყრიდენ—24 საათის ვადასაც არ აძლევდენ ბინების დასაცლელათ.

სრული აღვირ-წასხნილობა და ძალადობაა გამეფებული საბჭოთა რესპუბლიკაში. ერთიმეორის საწინააღმდეგო დეკრეტები იბეჭდება ერთ და იმავე გაზეთებში ყოველ დღე. ყოველ დღე ჰყვლეფენ როგორც ღარიბ, ისე მდიდარ მცხოვრებთ და ვგონებ, ბოლშევიკები მხოლოდ ამაზე ფიქრობენ. კერძო ბანკები დახურულია. ყველა თანხები, რომლებიც მიმდინარე ანგარიშზე იყო კერძო ბანკებში უნდა გადაეტანათ სახალხო ანუ ნაციონალურ ბანკში. თქვენი ფულიდან კი მოგეცემენ იმდენს, რამდენიც მოეხასიათება თვით კომისრებს ან იმის მიხედვით, თუ რა ქრთამს მისცემთ მას. არსებობს ბიურო, სადაც ბანკის ჩეკებს ახურდავებენ. ლომბარდები და შემნახველი კასები მიბარებულ ნივთებს არ იძლევიან, ვინაიდან დეკრეტი იქნება გამოცემული, რომლის ძალითაც ოქროს და ძვირფას ქვებზე დაწესებული იქნება გადასახადი და 16 მისხალზე ზევით ნივთი ჩამოერთმევაო. როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი გადასახადები ყოველ დღე ახალ-ახალი წესდება: ხან ბინის კომიტეტებს ბრძანება ეძლევა ბინების თვიური ფასიდან საბჭოში შეიტანონ 40 პროც., ხან ტელეფონის თითო აპარატზე აწესებენ გადასახადს 50 მანეთს, ხან საგარაჯოთ წასულთ ახდევინებენ 500 მანეთს, ვისაც პიანინო აქვს 200 მანეთს და სხვ. სად მიდის ეს გადასახადები, ვინ ხარჯავს, არავინ იცის. ზემო ნათქვამს თუ თქვენ დაუმატებთ ჩხრეკას და სურსათის რეკვიზიციას, ხშირად ძვირფასი ნივთების და ფულის დაკარგვას, ქუჩაში ძარცვა-გლეჯას, ღღით და ღამით ქუჩებში სროლას, ქუჩებში ტალახს და მტვერს, სიბნელეს, ქვიდა სართულებში ფანჯრებისა და კარების დაქედვას, სადარბაზო კარების დახურვას ყველა სახლებში (შედიან ეზოდან, სადაც ბინის კომიტეტია, წევრები დარაჯობენ მორიგეობით), მეტის-მეტ სიძვირეს, თქვენ მიიღებთ მოსკოვის ცხოვრების სურათს.

ფასები ჩემი წამოსვლის დროს (25 აპრილს) ასეთი იყო: თეთრი პურის ფქვილი 250 მან., შაავი—180 მ., ქართოფილი—42 მ., შაქარი—14 მან. გირვანქა, ქერი—65 მან., თიავ—42 მან., ხორცი სრულიად არ იშოვნებოდა, ხბოს ხორცი ღირდა 5 მ. 50 კ.—6 მ., ღორის ხორცი 8—12 მ., კვერცხი ათეული 8 მ., ერბო—13 მ., ყველი 12 მ., მწვანილიც ძვირი იყო. კომბოსტო ფასობდა გვრვანქა 2 მ. 50 კ. და მიუხედავათ ყველა ამ უბედურობისა რუსეთის მოქალაქე მაინც ცხოვრობს—თეატრში, ბიოგრაფში, სტუმრადაც დადის. რით ან როგორ ცხოვრობს ასეთ სიძვირეში პირდაპირ წარმოუდგენელია.

ბოლშევიკებთან დამოკიდებულება დღითიდღე მწვავდება, ახლა ყოველი ფეხის გადადგმაზე—ქუჩაშიაც, ტრამვაიშიც თქვენ გაიგონებთ ბოლშევიკების და წითელ-არმიელების ლანძღვას. ამ მხრით დიდ გმბედაობას იჩენენ დედაკაცები, რომლებიც მთავრობის წარმომადგენლებს ყოველგვარ სალანძღავ სიტყვებს პირში ეუბნებიან. ისინიც ხედავენ რა, რომ მათი დღეები დათვლილია მამაცები არიან, როცა მრავალრიცხოვანი არიან, თუ თითო-ორორლა არიან ყურს მოიყრუებენ და ასე ამბობენ: ჩვენ რას წარმოვადგენთ, გვიბრძანეს და ისე ვიქცევითო. გრაფ მირბახის მოსვლამ ცოტათი სიმშვიდე დაამყარა მოსკოვში, ეს ასე ემჩნეოდა იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც მე მოსკოვში დავრჩი. ამ დროს მოსკოვში არ ყოფილა ძალადობის მაგალითი ბოლშევიკების ხმრით. გრაფ მირბახის წინაშე ბოლშევიკები ფეხის თითებზე დადიან.

საქმეების გამო მე მოვიარე სამი გუბერნია—კოსტრომის, იაროსლავის და ვლადიმირის გუბერნიები. შემდეგი შთაბეჭდილება გამოვიტანე.

გლეხების მდგომარეობა ასეთია: სოფლათ ფული ბლომათაა, მაგრამ არ იშოვება პური და ბევრ ალაგას პირდაპირ შიმშილობაა. მიწების გაყოფვის დროს ხშირია გლეხებს შორის არა თუ ხელჩართული, არამედ—ტყვიისმფრქეველებით ბრძოლა, ვინაიდან მემამულეთა, სამონასტრო და სხვა მიწები დაიტაცეს იმ გლეხებმა, რომლებიც ამ მამულების მახლობლათ მოსახლეობდენ, ის სოფლები კი, რომლებიც მოშორებულნი იყვენ ამ მამულებიდან მოითხოვენ სამგიეროს, რაზედაც არ თანხმდებიან ის გლეხები, რომლებმაც ეს მიწები დაიტაცეს. ეს გლეხები ახლა გრძნობენ, რომ მათ უკანონოთ ჩაიგდეს ხელში ეს მიწები, რისთვისაც პასუხი უნდა აგონ მათ. ამ სამ გუბერნიაში მცხოვრებ გლეხთა დამოკიდებულება ბოლშევიკებისადმი უარყოფითია. ბოლშევიკური ლოზუნგები გლეხებს ახლა სასაცილოთაც არ ყოფნით. სესხის გაუქმება, ბანკიდან და შემნახველ კასებიდან ფულების გატანის აღკრძალვა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა და სხ. ისეთ არევ-დარევას ჰქმნის, რომ გლეხები პირდაპირ გაბოროტებულნი არიან. რომ გლეხები დაშინებულნი არ იყონ, უეჭველათ ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოსვლას მოაწყობდენ.

ერთი შეხედვით ბოლშევიკებს მუშებზე დაყრდნობა შეეძლებოდათ თითქოს, მაგრამ ამაში სასტიკად მოსტყუვდენ. მე ვიყავი მსხვილი წარმოების ისეთ ცენტრებში. როგორიც არის ივანოვო-ვოზნესენსკი, შუია, ორეხოვო-ზუევი, კონშა, ვიჩუგა. ყველა ამ ადგილებში მუშებში უკმაყოფილებაა. ხელფასი მათ დიდი ეძლევათ, საშვალო მუშა 1000—1200 მანეთს აკეთებს თვეში ამ დროს, როცა დირექტორი, ქარხნის მექანიკი და სხ. 500—600 მანეთს იღებს. ჯამაგირების ასე განაწილებამ აიძულა ქარხნების ადმინისტრაცია სამსახურიდან გასულიყო, რისთვისაც ისინი საბოტაჟიკებათ გამოაცხადეს. 8 საათს ნაცვლად 3—4 საათს მუშაობენ. გამოცდილ ხელმძღვანელების სიმცირის გამო გაკეთებული საჭონლის 50 პროც. უვარგისია, ქარხნებიდან გაბეზრებულ-გაზარბერეკის გაუქმებამ განვითარა ქურდობა. ქარხნის პატრონები, რომლებიც ფაქტიურათ ჩამოშორებულნი არიან საქმიდან, არ აძლევენ ფულს და არც საშვალება აქვთ მისცენ. ამიტომ თავის დროზე ვერ იძენს ქარხანა ვერც ნედლ მასალას, ვერც სათბობს, ვერ ახდენს ქარხნის რემონტს, ამიტომ ქარხნები ამცირებენ წარმოებას. ბევრი ქარხანა შეჩერდა ამ ნიადაგზე, ჯერ კიდევ იანვარში, აღდგომის შემდეგ კი შეჩერდა ნახევარზე მეტი საქსოვი ქარხნებისა. ახლა მუშებმა შეიგნეს თავიანთი შეცდომები. მოუწოდებდნენ ქარხნის პატრონებს სამუშაოთ, მაგრამ საქმის ადრე მოწესრიგება შეუძლებელია. ამიტომ ბოლშევიკების წინააღმდეგ უკმაყოფილება ყოველ დღე იზრდება, ვინაიდან ბოლშევიკების რჩევით მოიმოქმედეს ყველაფერი ეს მუშებმა. ივანოვო-ვოზნესენსკში კინაღამ მოხდა მუშების გამოსვლა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ვინაიდან მათ მიღებული ჰქონდათ 2 თვის ჯამაგირი. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე პურის სიმცირე, 30 მილიონ მანეთს რომ არ მოესწრო პეტროგრადიდან საქმე ცუდათ იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა მუშებში მაინც ძლიერია უკმაყოფილების ხმა ბოლშევიკების წინააღმდეგ. მაგრამ რა იქნება, როცა ქარხნები შეჩერდება. ხერხი არ დაეყრება მაშინ საბჭოთა მთავრობას მუშებისაგან.

(შემდეგი იქნება)

ბოლშევიკების საქმენი საგვიროენი

სამ ივნისს ხონის სამობილიზაციო რაზმის ხელმძღვანელმა ჯარისკაცების ჩვენებით დაატაციმრა სამეგრელოდან გამოსული სამი პირი: მახარაძე, შელია და ჩაკვეტაძე, რომელთაც აღმოაჩინდათ ფრიად საყურადღებო დოკუმენტები. ამ საბუთების მიხედვით ერთიანად აეხდება ფარდა სამეგრელოში ბოლშევიკების მოძრაობას, რომელიც ჯერ-ჯერობით არ ჩაითვლება დასრულებულათ.

საბუთებ შორის რიცხვით პირველი ადგილი ფულის ხელწერილებს უჭერია: აუარებელ ქაღალდების ნაგლეჯებზე აწერია მივიღე ჯარისათვის ამდენი და ამდენი, დავხარჯე ამდენი და სხვა, დანახარჯ ფულების ჯამი რამდენიმე ათას უდრის. ერთი საბუთიდან სჩანს, რომ ცენტრიდან (ალბად ქუთაისიდან) გაუგზავნიათ ექვსი ათასი მანეთი. საიდან ღი უღობდენ ამოდენა ფულს სახარჯოთ, ეს ალბჭა უწყის, მხოლოდ ეს კი ფაქტია, რომ ეს ხალხი აუარებელ ფულს ხარჯავს. ყოველ ეჰვს გარეშეა, რომ ბოლშევიკების პარტიას ამდენი ფული წევრებისაგან არ შემოუვათ, ალბათ, შემოსავლის წყარო სულ სხვა ადგილს ამოჩუხჩუხებს მათთვის.

საბუთებიდან სჩანს, რომ ბოლშევიკები ნამდვილ ომს აწარმოებენ რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ და სერიოზულათ ფიქრობენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. მათი ამა თუ იმ სოფელში გამოსვლა არ ჩაითვლება პარტიზანულ მოქმედებით, მათ ერთმანეთში კავშირი აქვთ და თავიანთ მოქმედებას უთანხმებენ ამიერ-კავკასიის ცენტრს. ქვემო მოყვანილ საბუთებიდან მკითხველი ამაში აშკარათ დარწმუნდება, ხოლო აქ მისი ყურადღება მინდა მივაქციო იმ გარემოებას, რომ მათი ლაშქარი მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ სამეგრელოში და ნაწილობრივ ლეჩხუმში, სხვაგან კი არსად ფეხი არ უდგიათ. ჯარის ორგანიზაცია, როგორც ეტყობა, გარეგნულათ მაინც გვარიანი აქვთ: ახდენენ ამა თუ იმ სოფელში მობილიზაციას, როგორც ადამიანებისას, ისე იარაღის, სურსათის, ყავთ ტეხნიკური ორგანიზაციები და სხვ.

სამეგრელოს ბოლშევიკები კარგათ გრძნობენ, რომ მათი მოქმედება და მოძრაობა დიდათ მავნებელი და საზარალოა ისედაც გაძვალტყავებულ გლეხობისათვის და რომ თავიანთი საქმიანობა გაამართლონ პირდაპირ დაუჯერებელ პროვოკაციას აწარმოებენ გლეხობის შორის. მათ არწმუნებენ თითქოს ნიკოლოზის მთავრობისებური მთავრობა იყოს ჩვენში, თითქოს მას მდიდრების დასაცავათ წითელი გვარდია ყავდეს დაქირავებული და ამნაირათ ცდილობდეს ხალხის გაუბედურებას და ძველ ბორკილებში ჩაჰყოფას. ჩვენაო,—ეუბნებიან ისინი უვიც გლეხობას,—ახალთაობას ვიცავთ, მთავრობას არ ვუშვებთ თქვენში და თუ თქვენ ერთობის მომხრენი ხართ, ჩვენ უნდა დაგვეხმაროთო. გლეხობას სჯერა ეს სიცრუე და უკანასკნელ ბალმან სიმინდს აძლევს მათ, თუმც გულში წყევა-კრულვით იხსენიებს არა მკითხე დამცველებს. მარა, როგორც გავს, თვით ბოლშევიკური ჯარის უპრავაკაციოთ შეჩერება და თავდაყრაც შეუძლებელი ყოფილა. აბა ყური დაუგდეთ ამ საყურადღებო დოკუმენტს:

დოკუმენტი პირველი (ასლი).

„სოფლებში გავრცელდა კონტრ რევოლიუციონური ბაზრის კომისრების მიერ ხელმოწერილი ფურცლები, რომელშიდაც ურცხვად და უნამუსოდ გაჰკივიან სუხუმის აღებას. ამ ხანაგებო, ფრთხილად, არ წამოიცვალოთ სასტიკ პროვოკაციის ალაკზე. შუბლ-შერცხვენილი, სინდის წარეცხილი ვაჟბატონები (სიმონ თავაოთ. სათაევში) ბედავენ თავიანთ ალსასრულს და აღარ იციან რა ქნან, რა გზას მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართონ, მაგრამ პროვოკაცია აღარ სიკვდილის წინა წამებში დაივიწყეს, მოუხედავათ იმისა, რომ თითონვე გრძნობდენ მათი მოქმედება მომაკვდავის უკანასკნელი ფარული ხალია და მეტი არაფერი. ღვივრ-წახსნილი ვეკატონები ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ ხალხი გამოერკვა, რომ ხალხმა თვალთ ჩამოიგლეჯა ის ბნელი რიდე, რომელიც მას გრძნობა-გონებას ურეკდა და შესანიშნავი ერთსულოვნებით იარაღით ხელში ამ „მენშევიკ“ ვეკატონების წინაშე გაილაშქრა. ისინი გრძნობენ თავის არარაობას, მათ კარგათ ესმით, რომ ეს აბობოქრებული ხალხური ტალღა მათ წალეკავს და დედამიწის პირიდან წაშლის და ამისათვისაა ამხანაგები, რომ მათი უკანასკნელი სულის ხრიალი ამ პროვოკაციულ ფურცელში გამოიხატა; საზიზღარი და ს მარცხვინო სიცრუეა, ვითომც და სუხუმი აღებულია, ამხანაგებო, არა თუ აღებულია, არამედ ჯერ ახლოს ვერ მიკარებიან ეს მენშევიკების დაქირავებული სულის გამყიდველი ჯუღელი და კონიეი; სუხუმში დღითი დღე რუსის ჯარი მოდის თავისი ზარბაზნებით, პულემიოტებით და სურსათით. ეს ჩვენ ვიცით სარწმუნო და სრულიად საიმედო „რაზვედჩიკებ სა“ და „სვიაზის“ შემწეობით. ამხანაგებო, მოძრაობა უკვე დაიწყო, საშა გეგეჭკორს მოყავს ექვსასი კაცი და ძლევამოსილი ხმით გიკივინებენ თქვენ აღზდექთ გმირნო, შეერთდეთ და შეერთებული ძალით მტერს სასტიკათ ვეკუთოთ. ცდა და ყოყმანი მოსპეთ და საქმეს ენერგიულათ მოკიდეთ. გეგეჭკორი ჯარი უკვე მესარიდან დაიძრა და ჩვენკენ მზათ დგებოდეთ უნდა უსათუოთ, რომ დრო არ დავკარგოთ. მაშ, ამხანაგებო, გილოცავ. გაუმარჯოს ჩვენს მოძრაობას, ძირს პროვოკატორი სიმონ ალორდაგა და მისი დამქაშები.

ხამხედრო ტეხნიკის ხელმძღვანელი“.

მე არ შეუდგები ამ პროვოკატორულ საბუთის განმარტებას, შეგნებული მკითხველი თითონ დაიფასებს ბალშევიკების უზნო ხრიკებს, რომლითაც თვალს უხვევენ გულუბრყვილო მკითხველს. ახლა ყური დაუგდოთ მეორე კიდევ უფრო საყურადღებო და ათასჯერ მეტად პროვოკაციულ მოწოდებას, რომელიც ერთგვარის ცირკულარულის ხასიათისაა და ხელმოწერილია ქუთაისიდან გაქცეულ ძველ შანტაჟისტ და კალოშების ქურდ საშა გეგეჭკორის მიერ:

საბუთი მეორე (ასლი).

„ომარტე, ჭოლა-ჩხორო-წყუს სოციალისტური ჯარის ხელმძღვანელ ორგანიზაციას.

თანახმად პარტიის დადგენილებისა ამ წლის 23 მაისიდან ყველა ჩვენი ძალები ქუთაისის და სხვა ბაზრებში უნდა დარჩენ თავ თავის ადგილზე და აუცილებლათ დაიცვან (დამალონ იარაღები, ვინაიდან მენშევიკებს და მასთან მთელ შემადგენლობას სეიმისას შემოყავთ კავკასიის შუაგულში ოსმალთა ჯარები, აშკარაა ჩვენს წინააღმდეგ, მაშასადამე დაუხმარებლათ რევოლიუციონურ რუსეთისა ჩვენ გვიძნელდება ბრძოლის დამოუკიდებლათ წარმოება; რუსეთიდან დახმარების მისაღებათ სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა, მაგრამ სანამ ჩვენ არ შევუერთდებით რუსეთის ძალებს, საქმის ვითარება მოითხოვს შეინახოთ აშკარა გამოსვლები, რათა შესაფერ დროამდე არ დავხარჯოთ ძალები. ამისათვის გთხოვთ მიიღოთ ყოველგვარი ზომები ამის სისრულეში მოსაყვანათ, უმეტეს ყოველისა დაიტოვეთ იარაღები, რომ მტერს არ ჩავვარდეს ხელში. თუ ზუგდიდი ან სენაკი, როგორც ხმები მოდის, აღებულია, ეხლავე დასტოვეთ და გაიყვანეთ ჯარი უშიშარ ადგილზე. შტაბი იმოქმედებს სამეგრელოს საზღვრებ გარეშე. გადაეცით ყოველივე ეს დაჩქარებით ყველა ზუგდიელ ამხანაგებს და ორგანიზაციებს.

ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ჯარის შტაბის თავმჯდომარე ა. **გეგეჭკორი“.**

28 მაისი 1918 წ.

აი, ბალშევიკური პროვინციის საუცხოო ნიმუში. მათი უსინდისობა იქამდის მიდის, რომ ოსმალების შემოყვანას ჩვენ გვაბრალებენ. ამაზე მეტი გათახსირება წარმოუდგენელია. მინდა ვიწინასწარმეტყველო: მალე ნახავთ, რომ თავიანთ გაზეთებში ეს ბრალდება წამოგვიყენონ ლენინ-ჯუღაშვილებმა. ხომ გახსოვთ ჩიჩერინის სიცრუით სავსე ნოტა, მიიგონეთ ლენინის ნაოქვამი: წერეთელ გეგეჭკორის შუანათურმა რეალმ აღუძრა სურვილი ოსმალეთს დაერღვია ბრესტის ხელშეკრულება. დიახ, ჩვენ უნდა ველოდეთ ჯუღაშვილების ვრცელ წერილებს იმის შესახებ, თუ როგორ შემოუძღვენ მენშევიკები კავკასიაში ოსმალებს ბალშევიკების საწინააღმდეგოთ. დიე, იშრომონ პროვოკატორებმა, ღვარონ სისწრის ოფლი პორების ვრცელებაში! შეგნებულმა დემოკრატიამ უკვე დააფასა მათი მოღვაწეობა და შორს არ არის ის წამი, როცა შესაფერ მსჯავრს დასდებს მათ საქმიანობას.

ჩვენ აქ მოვთავსებთ ხელოლდ რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც ჩამოართვეს ხოსში დატუსაღებულ სამეგრელოს ბალშევიკების ლიდერებს, დანარჩენი საბუთები გადაეცა ქუთაისის გუბერნიის კომისარს და რაც საჭირო იქნება თავის ადგილზე გამოქვეყნებული იქნება.

სანმანი.

სოც.-დემ. პარტიაში

რკინის-გზის სამმართველო. 4 ივნისს ამხ. ასათიანის თავმჯდომარეობით შედგა სამმართველოს პარტიულ წევრთა კოლექტივის კრება. თანამედროვე ხანაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ასათიანმა. მოხსენების დამცირე კამათის შემდეგ დადგენილ იქნა: თუ ეინიცობაა თფილისი და საერთოდ საქართველოს რესპუბლიკა საფრთხეში ჩავარდება, ყოველივე ღონით ვეცადოთ მათი დაცვა.

შემდეგი საკითხი იყო საწევრო გადასახადის შესახებ. როგორც სჩანს ამხ. კაჩარავას და ჩიკვაიძის მოხსენებებიდან, საწევრო გადასახადს რეგულიარულად ნაკლებათ იხდიან წევრები. მიზეზად ასახელებენ უფულობას და წვრილ ფულის უქონლობას.

ამ საკითხის მოგვარება და საწევრო ფულის გადასახადის მოკრება მიენდო ორ ამხანაგს, რომლებმაც სულ მოკლე ხანში უნდა შეასრულონ.

ამხ. ლოგუას მოხსენებიდან სჩანს, ძველი წესწყობილების მოტრფიალენი, ჩუმათ თუ აშკარათ რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებენ. ეს მოვლენა დაადასტურეს დანარჩენმა ამხანაგებმაც. დაადგინეს მიღებულ იქნას ზომები ასეთი მოვლენის აღმოსაფხვრელათ. მასთანვე გამოირკვა, რომ სარგებლობენ რა შექნილ არეული მდგომარეობით, ზოგი მაღალ ადგილზე მდგომი მოსამსახურეები არავითარ ანგარიშს აღარ უწევენ ფულების ოპერაციებს. ამაზე უკვე მიქცეულ იქნა ყურადღება და რამოდენიმე ორდერები ფულის მისაღებათ დაპერილია. დადგენილ იქნა კომისარებმა ყურადღება მიაქცონ ასეთ მოვლენებს.

საქარელი მ.

ოზურგეთის მაზ. მუშებ გადმოსვეწილთა საყურადღებოთ

9 ივნისს (ახ. სტ.) შუადღის 2 საათზე, ოზურგეთის მაზრის გადმოხვეწილთა სამაზრო კომიტეტი ქალ. ლანჩხუთში იწვევს საზოგადოებებში გადმოხვეწილთა მიერ არჩეულ კომისიების პრეზიდიუმების კრებას—კომისიების პრეზიდიუმები ადგილებულნი არიან დაესწრან კრებას აუცილებლათ. ამასთანავე, ვინაიდან გადმოხვეწილთა გადაჯგუფება მოხდა და 29 მაისამდე შედგენილი სარეგისტრაციო ფურცლების ცნობა ამისდა მიხედვით შეიცვლება, ესე იგი საჭიროებს შესწორებას—გთხოვ ამავე დღისთვის წარმოადგინოთ შევსებული სრული სიები ადგილობრივი კომისრების შემოწმებით. სიაში უნდა იყოს ნაჩვენები: 1) ოჯახის უფროსის სახელი და გვარი, 2) რამდენი სულია, 3) საიდან არის (სოფ. სახელი), 4) ვის ოჯახშია ხანათ, 5) რა ხარისხის გაჭირვებულია, 6) მიიღო თუ არა დახმარება სადმედან და რით. ამავე დღეს გაირკვევა თუ რა ფორმით დავეხმაროთ გადმოხვეწილთ.*)

პეტე ფოცხვერაშვილის კონცერტი

კვირას, 2 ივნისს, სახელმწიფო თეატრში გაიმართა კ. ფოცხვერაშვილის ჰიმნ-საგალობელთა აკადემიური კონცერტი.

კონცერტს დიდძალი საზოგადოება დაესწრო და ფრიად საინტერესოც აღმოჩნდა როგორც თავისი შინაარსით, ისე ასრულებითაც.

ყველაზე უფრო საყურადღებო გამოვიდა ქართული ეროვნული ჰიმნი და სარეგოლიუციო მარში, რომლებიც საზოგადოების მოთხოვნით რამდენიმეჯერ გაიმეორეს.

ამ კონცერტზე ერთხელ კიდევ აღმოჩნდა, რომ ფოცხვერაშვილი შეუდარებელი გადმომცემია ქართველი მშრომელი ხალხის უმაღლეს განცდათა სფეროისა.

სწორეთ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ფოცხვერაშვილის კონცერტებს ეგზომ დიდი ხალხი ესწრება და ყველანი ნასიამოვნები იშლებიან.

კონცერტის შემოსავლის ნახევარი ორი ათასი მანეთი ფოცხვერაშვილმა გურიის თავდაცვის კომიტეტს შესწირა.

როგორც მკითხველი დაინახავს, ფოცხვერაშვილის მოქმედება არ არის მაინც და მაინც დასაგმობი, რადგან კონცერტიც კარგი მოგვასმინა და შემოსავალიც სამშობლოსათვის წამებულთ გაუნაწილა. მაგრამ ყველა ერთნაირათ ხომ არ მსჯელობს!

გრძნობა-გონებით დაქვეითებული ბანაკი ყოველთვის მონახავს მიზეზს საზოგადო მოღვაწეზე გაილაშქროს და პატიოსანი მუშაკი ჯალის აცვას.

სწორეთ ასე მოიქცა გაზ. „საქართველო“, რომელმაც კ. ფოცხვერაშვილი კონცერტის მეორე დღეს „რეცესიის“ სახით უშვერი სიტყვით გალანძღა.

აღსანიშნავია, რომ ეს გაზეთი თავის დაარსების პირველ დღიდანვე სხვათა შორის ფოცხვერაშვილს გაბახებაშიაც საკმაო „მაშულიშვილობას“ იჩენს.

დამსწრე.

*) გუშინ, 6 ივნისს, მიღებული დეპეშის თანახმად ეს კრება შესდგება ოზურგეთში აღნიშნულ რიცხვს.

რედ.

საადგილ-მამულო რეფორმა

საადგილ-მამულო გამგეობამ მიიღო პროექტი საგუბერნიო კომისიებთან აგრონომიულ კომისიების დაარსების შესახებ. აღნიშნულ კომისიებში უნდა შევიდენ წარმომადგენელები: საერობო სტატისტიკოსთა ორგანიზაციისა, ჰიდროტეხნიკოსთა, სატყეო ორგანიზაციის, მთავრობის საგრონომიო ორგანიზაციის, მიწის მზომელთა კავშირისა და მეღვინეთა კომიტეტის. ამ კომისიების დანიშნულებაა 1) საადგილ-მამულო რაიონების მოწესრიგების საკითხის გადაჭრა; 2) სასოფლო სამეურნეო რაიონების გამორკვევა; 3) იმ საკითხების განხილვა, რომელიც ეხება გლეხებზე გადასაცემ მიწის რაოდენობას და აგრეთვე ყველა იმ საკითხებს, რომლებიც შეეკავშირებულია საადგილ-მამულო რეფორმასთან; 4) კულტურულ მეურნეობათა რაოდენობის გამორკვევა.

იმავე პროექტის თანახმათ საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობასთან უნდა მოეწყოს აგრონომიული განყოფილებები, რომლებიც განაგებენ ადგილობრივ ხასიათის კულტურულ მამულებს, შეაგროვებენ და დაამუშავებენ საადგილ-მამულო რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლათ საჭირო სტატისტიკურ—ეკონომიურ მასალებს, გაატარებენ ცხოვრებაში საგრონომიო კომისიების დადგენილებებს, შეადგენენ ანგარიშებს, შეასრულებენ გამგეობის დავალებებს, თვალ-ყურს ადევნებენ, თუ როგორ მიდის საქმე კულტურულ მამულებში, მოიწვევენ სარაიონო აგრონომების, სამაზრო გაგების წევრების და კულტურულ მამულების გამგეთა საგუბერნიო სათათბიროს.

პროვინცია

სართიჭალის რაიონი (თფილისის მაზრა). სართიჭალის რაიონში საქმეები ძლიერ აწყდა ეგრედ წოდებულ კომუნისტების თანამოაზრე ჯარისკაცების მიერ. სოფლებში დილიდან საღამომდე სროლაა, მთავრობას არ ემორჩილებიან, პროვოკაციას დიდი ადგილი აქვს... ადგილობრივი მთავრობის აზრით, ერთად-ერთი გამოსავალი გზა ამ მდგომარეობიდან არის იარაღის ჩამორთმევა არა კეთილ-საიმედო პირებისათვის. ამისთვის კი საჭიროა რეალური ძალა. ასეთი მდგომარეობა მეტათ სამწუხაროა. სართიჭალის რაიონი მუდამ სხვა უბნებზე მაღლა იდგა, რასაც ნათლად მოწმობს დამფუძნებელ კრების არჩევნები. განვიზრახეთ სართიჭალაში მიტინგის გახსნა. მიუხედავათ იმისა, რომ სოფლის კომისარი მოგვალი იყო, მაინც შეესძელით ხალხის შეკრება ადგილობრივ მცხოვრები თევდორე გურგენიძის დახმარებით. კრებას ხალხი ბლომათ დაესწრო. ზოგიერთები კიცხავდენ მთავრობას, რომელმაც, მათი აზრით, შეაიარაღა მუსულმანები და მიუსია ქართველებს, წითელი გვარდია ბურჟუების მიერ არის მოსყიდულიო და სხ. მათ ასეთ ბრალდებაზე შესაფერი პასუხი მიიღეს. ხალხმა დაინახა, რომ არც ერთი ამ ბრალდებათაგანი მართალი არ არის ტ დაადგინეს, რომ ყველა გავიდეს საქართველოს საზღვრების დასაცავად. ამოირჩიეს აგრეთვე თავდაცვის კომიტეტი. მეორე დღეს წაიყვანეს ხაშმში. ხაშმი ბუნებით მდიდარია, ინტელიგენტური ძალებიც საკმაოთ მოიპოვება. საღამოს თეატრის დარბაზში გავმართეთ კრება მიხეილ ლალიძის თავმჯდომარეობით. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა ასეთი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში სხვადასხვა პირობებს, რომლებმაც აიძულა მთავრობა გამოეცხადებია საქართველო სუვერენიულ სახელმწიფოდ, ვფიქრობთ ერთად ერთ გამოსავალ გზათ ამ ნაბიჯს მთავრობისას და აუცილებელ საჭიროებათ ვსცნობთ დავეხმაროთ მას, რითაც კი შეგვიძლია, რომ მით დავიცვათ განადგურებისაგან ცეცხლის ალში გახვეულა სამშობლო“.

შემდეგ ამისა გლეხებს ესაუბრა ამხ. ვანო მაისურაძე სხვადასხვა ადგილობრივ საკითხებზე. საათის თერთმეტზე დაიხურა კრება. მეორე დღეს გაიმართა წითელგვარდიელების კრება. გასარჩევი იყო საკითხები: 1) მორიგეობითი დარაჯობა თფილისში; 2) მატერიალურათ უზრუნველყოფა გვარდიელებისა; 3) დისციპლინის შემოღება; 4) ადგილობრივ პროვოკატორებთან ბრძოლა და სხვ... მოხსენების შემდეგ გამოიტანეს შემდეგი დადგენილებები: წავიდენ თფილისში ორ ორი კვირით სადარაჯოთ 30 კაცი, თვიური ჯამაგირი წითელგვარდიელს უნდა აძლიოს სოფელმა; ვინც გაწვეულია სამხედრო სამსახურში, ის დროზე უნდა გამოცხადდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გაშორდეს ს. ხაშმს. ამის შემდეგ ერთმა ჩენმა ამხანაგმა აცნობა კრებას, რომ ხაშმში არიან რამდენიმე არა კეთილ-საიმედო პირები: მღვდელი ვანო ხაბაზიშვილი და ყოფილი მასწავლებელი ვანო ბაქრაძე, რომლებიც თავიანთ თავს უწოდებენ ნაციონალ-დემოკრატებს და ფარულად ეწევიან აგიტაციას მთავრობის წინააღმდეგ. ამის შესახებ კრებამ დადგინა: მიეცეს მათ ერთხელ გაფრთხილება და თუ ისინი ხელს არ აიღებენ თავის მოქმედებაზე, დაატყვევონ და გაგზავნონ უმაღლეს მთავრობასთან.

ვლ. კაკაბაძე.

სოფ. ფაბლა-საკარა. შექნილი პოლიტიკური მდგომარეობა ყველგან თავის სამუშაო დაღს ასვამს. გლეხი, მხოლოდ მუშაობაში ჩაბმული არაა გაწყვეტილი პოლიტიკისა, მაგრამ იმას მაინც ხედავს, თუ რა მოელის მას თათრის შემოსევიდან. ამ სოფლის მცხოვრებთა ნაღვლიან გამომეტყველებიდან ცხადათ სჩანს, რომ ის კარგს არას მოელის. „ნეტავ მას, ვინც თავის დღით და არა უხეშ მტრის სისხლიანი ხელით კვდებაო“.

გლეხებს კარგათ ესმით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ვერ შეძლებს არსებობას, თუ რომელიმე სახელმწიფო მას არ მფარველობს და ამით აიხსნება მათი სიხარული გერმანიის მფარველობისა. თუმცა აქაც ვერ ხედავენ დიდ ხსნას, მაგრამ სულ არაობას ეს მაინც სჯობიაო. სამწუხაროა ერთი რამ, აქაურ გლეხებს სწორი წარმოდგენა თანამედროვე ხანაზე არ აქვთ და არც მოეთხოვებათ, რადგანაც ამ საგანზე ახსნა-განმარტებაზე თავს არავინ იტეხს.

რევოლიუციის პირველი დღიდანვე ადგილობრივი ინტელიგენცია გაორგანიზებული ენერგიით მუშაობდა, მაგრამ დღეს მისი მოღვაწეობის ველი მკრთალათ ატყვია სოფელს.

ერთი ნაწილი ადგილობრივი ინტელიგენციისა სიხარულით ცამდე ეწევა საქართველოს დამოუკიდებლობის გამო

ცხოვრება თანდათან დგება ნორმალურ ჩარჩოში. ბალშევიკურ მიდრეკილებას აქ ადგილი არ ქონია და არც აქვს, მაგრამ სხვა პატარა უწესობებს კი ქმნიდენ რევოლიუციის მტრები, რასაც ბოლო ეღება. არევ-დარევის მოსპობა დიდ აღფრთოვანებას იწვევს გლეხებში.

სროლა კანტიკუნტათ ისმის. კიდევ დარჩენ ნაძარალები. ამას წინათ ნ. არაბიძისას ისროდენ. კომისარმაც იცის ეს ამბავი.

საქარელი მ.

ძ. სურამი. 3 ივნისს შესდგა ყველა მომქმედ ორგანიზაციათა შეერთებული კრება.

კრების საგანს შეადგენდა თანამედროვე მომენტი. მომენტზე მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. მამალაძემ, რის შემდეგ მოუწოდა კრებას ამის შესახებ გამოეთქვა თავისი აზრი. კრებამ აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ ერთხმათ დაადგინა: შესდგეს თავდაცვითი კომიტეტი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს როგორც ფრონტს, აგრეთვე შიგნით წესიერებას. კრებამ მიიღო რა მხედველობაში, რომ მაზრაში გამოცხადებულია საალყო წესები, აღმასრულებელ კომიტეტი განსაკუთრებული უფლებებით, ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები დაუქვემდებარა მას და გამოსთქვა იმედი, რომ ასეთი ორგანიზაცია ადგილობრივათ მოახერხებს დაიცვას რევოლიუციონური წესრიგი. კომიტეტში შევიდენენ სამი წარმომადგენელი ადგილობრივი სოციალდემოკრატიული ორგანიზაციიდან, სამი ქალაქის თვითმართველობიდან, ორი მუშათა და გლეხთა საბჭოდან, ერთი დაშნაკცებისაგან და ერთი ადგილიც დაეთმო ადგილობრივ სამხედრო ორგანიზაციას—მეათე ქართულ პოლკს.

ამის შემდეგ თვით ამ თავდაცვითი კომიტეტმა გამართა თავისი კრება. აირჩია პრეზიდიუმი ხუთი კაცისაგან შემდგარი. პრეზიდიუმს დაავალა კანცელარიაში წევრების მორიგეობის ცხრილის შედგენა. გამოყო სამი კაცისაგან საგამომძიებლო კომისია—ამ კომისიის მოვალეობას შეადგენს ამა თუ იმ ბოროტმოქმედების შესახებ ადგილობრივათ მოახდინოს წინასწარი გამოძიება, მასალების შეკრება, რომელიც შემდეგ გადაეცემა სამაზრო საგანგებო საგამომძიებლო კომისიას. რაც შეეხება ბოროტმოქმედია გასამართლებას, საჭიროთ დაინახა გასამართლება მოახდინოს ყოველთვის ადგილობრივათ, რომ ამან ზნეობრივი გავლენა იქონიოს ადგილობრივ მცხოვრებლებზე.

ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად საჭიროთ დაინახა შემოღოს ადგილობრივ მკვიდრთა ღამ-ღამობით მორიგეობა. ამისთვის ქალაქი დაყო უბნებათ და გამოიანგარიშა, თუ რამდენი იარაღი იქნება საჭირო თითო უბნისათვის.

თავდაცვისათვის ქალაქში თუ მის რაიონში დაადგინა მიმართოს მთავრობას მატერიალური დახმარებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება კომისიამ მიაქცია იმ ბოროტმოქმედებას, რომელსაც ჰქონდა ადგილი აქ ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში. ამ ორი თვის განმავლობაში აქ ჰქონდა ადგილი ორჯერ ცეცხლს და ორჯერაც მკვლელობას, და რადგან ადგილობრივი გამომძიებელი ამაში ვერ იჩენს საკმაო ენერგიას, კომისიამ დაავალა საგამომძიებლო კომისიას შეუდგეს ამ ბოროტ-მოქმედებათა გამოძიებას.

მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, რომ სურამში თავის ოთახში ამ ორი თვის წინათ მოჰკლეს მოხუცი ნოდია. საზოგადოებამ ჯერაც არ იცის, თუ რითი გათავდა საქმე. ეტყობა, ბოროტმოქმედების ჩასაფუზეებლათ მოწმეები გამომძიებელს სადღაც შორს უჭვენებენ თითს.

მაისის უკანასკნელ რიცხვებში მთავარ ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ამბაძის სახლს. როგორც გადმოგვცემენ ეს სახლი დაზღვეული ყოფილა, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ამ სახლმა იმსხვერპლა ქვრივი ოსიანიკოვის სახლიც.

2 ივნისს, ღამის სამ საათზე, სოლომონ კურტანიძის სახლში შევარდნილან ბოროტგამზრახველები. ბოროტ პირებს ლოგინშივე, როგორც ეტყობა მძინარე მოუკლავთ. კურტანიძის ბრმა 15—16 წლის ქალი, მოხუცი ცოლი და თვითონ სოლომონ კურტანიძე მძიმეთაა დაჭრილი. როგორც შვილის ჩვენებიდან სჩანს, ორი ავაზაკი ყოფილა. მათ მოუთხოვნიათ მისთვის ფული, შემდგ გასულან იმ ოთახში, სადაც მამაკაცი იყო, დაუხოცნიათ ესენი და მიმალულან. როგორც შვილი ამბობს, ავაზაკებისათვის მას გადაუცია 400 თუმანი. საჭიროა ენერგიული ზომები, რომ ავაზაკები აღმოაჩინონ, და ვიმედოვნებთ, რომ საგამომძიებლო კომისია, რომელიც გამოყოფილია თავდაცვითი კომიტეტისაგან, მიიღებს ყოველგვარ საშვალებას და იმედიც გვაქვს ავაზაკებსაც აღმოაჩენს.

კანწილი.

იყიდება

მოკლე ფიცრები ყუთისათვის

იკითხეთ „ერთობის“ რედაქციაში.

ექიმი უკლადნიკოვი

შინაგან და საბავშვო სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 10—11 საათამდე და საღ. 5—6 საათამდე. მისამართი: დიდ მთავრის ქუჩა № 67 (კიროჩნი ქუჩ. კუთხე

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიძისა

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიდილისებნი ავადმყოფები. (914-ს და 608-ს შეშხპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მაზელის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—26

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს მაღათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო საბუშვილია

მედიცინის დოქტორი ენენეის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეგიისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ეფისაბეთის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

ექიმი ი. ბ. კოლნიევი.

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3.

ექიმი ბ. ლონგინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებს თვალის-ტკივილებით ავადმყოფებს დილის 9—12 ნახ. საათამდე, საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი 76 (ხაიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38.

ექიმი ნ. ა. ფოფხაძე

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით ავადმყოფებს, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქვრივებ. და სხვა **შინაგან სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მას საკ. მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 11.

დ ბაჩხგრეში ექიმის თანაშემწე ვ. ბ. ლაშაი

იღებს ავადმყოფებს, **ფაკეთებს** კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს **ფაკეთებს** მასაჟს, **ფაცრის** ყვავილს, ფხვეტს ჭრილობებს და ათაშაგს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

იქვე ექიმის თან. ქალი ვ. ა. ბაბრიშა-ლაშაი ლებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

ექიმი ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

ექიმი ბ. ბ. ფუხაძე

იღებს საღამოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდ მთავრის ქუჩა № 57; ადგილობრივ [illegible] ბიურ სახ. წინობის პირდაპირ, სახ. [illegible] ტელ. № 5—97